



ოსმალური მერვე საეკლესიო დავთარი ქართული  
მრევლისა და ქართული ეკლესია-მონასტრების შესახებ<sup>8</sup>

მირიან მახარაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.  
ქ. თბილისი. ი. ჭავჭავაძის გამზირი N1, 0179, საქართველო.  
+995599943993. mirian.makhrade@tsu.ge  
ORCID. 0000-0003-1931-0570

**ანოტაცია**

ოსმალური საეკლესიო დავთრები 10 ტომისაგან შედგება, საიდანაც მე-8, მე-9 და მე-10 ტომები შეეხება იერუსალიმის ეკლესია-მონასტრების მართვა-გამგეობას და სხვადასხვა კონფესიებს შორის მართვა ურთიერთობის მოგვარებას. გარდა ზემოაღნიშნული დავთრებისა იერუსალიმის შესახებ საეკლესიო დავთარი იწინააღმდეგის თოფქაფის მუზეუმის არქივში, რომლის შიფრია TS.MA.d. 7016 და მასშიც მსგავსი ტიპის დოკუმენტებია გაერთიანებული.

მერვე საეკლესიო დავთრის ზომებია 17,5X42,00X1,00 სანტიმეტრია. თავფურცელი ბორდოსფერი ტყავია, რომელიც ადგ-

---

<sup>8</sup> კვლევა (გრანტის ნომერი HE-21-103) განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ილ-ადგილ გაცვეთილია. ფურცლები და ტექსტი კარგადაა შენახული. ზოგიერთი ფურცელი ამოვარდნილია. გარე ყდა არ აქვს. თავფურცელზე ოსმალურად "فصامة دفترى" და ორი თარიღი აქვს მიწერილი - 860 წლის შევალი (2-30 სექტემბერი 1456) და 1071 წლის რებიულეველი (4/XI-3XII 1660). ლათინური თურქულით აწერია "Kilise Defteri (საეკლესიო დავთარი) No.8". პირველი გვერდი უნომროა. ნუმერაცია იწყება შემდეგი გვერდიდან - 1-დან 41-ის ჩათვლით. სულ 42 გვერდია, აქედან 3, 4, 15-21, 36-39 გვერდები ცარიელია. კრებულში მოთავსებულია 18 ჩანაწერი, საიდანაც ქართველების შესახებ მე-8 საეკლესიო დავთარში ცნობებია გადმოცემული მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 დოკუმენტებში.

ოსმალური საეკლესიო დავთრების დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ქართულმა ეკლესიამ იერუსალიმში დამოუკიდებლობა დაკარგა. იგი მთლიანად დაექვემდებარა იერუსალიმის ბერძნულ-მართლმადიდებლურ საპატრიარქოს. ქართველების ქონებაზე დავაში უკვე ქართველები აღარ მონაწილეობენ, თუმცა იაკობის ეკლესიას და ჯვრის მონასტრებს, შერჩათ სახელი „ქართული ეკლესია-მონასტრები“.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, ოსმალეთი, საეკლესიო დავთარი, იერუსალიმი.

## შესავალი

ქალაქ სტამბოლში, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის საარქივო სამმართველოს ოსმალურ არქივში სხვადასხვა ტიპის 150 მილიონამდე დოკუმენტი ინახება. სხვა იმპერიების მსგავსად, ოსმალეთის იმპერიაშიც უდიდესი ყურადღება ექცეოდა საკანცელარიო საქმეს - დოკუმენტების წარმოებას. ისინი

იქმნებოდა სხვადასხვა მიზნით, იქნებოდა ეს ფაქტების თუ მოვლენების აღწერა-დაფიქსირება, ადმინისტრაციული მმართველობის განხორციელება, სხვადასხვა პირობით მიწის ნაკვეთების გაცემა და მათი კონტროლი, გადასახადების აკრეფა და მრავალი სხვა. ოსმალეთის ხელისუფლება საუკუნეების განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დოკუმენტების შენახვასა და გაფრთხილებას. ამიტომაც არის, რომ თურქეთის რესპუბლიკის არქივები და წიგნთსაცავები ასე მდიდარია ისტორიული წყაროებითა და დოკუმენტებით (მახარაძე, შაშიკაძე, კაშია, 2022: 13).

ოსმალური არქივი შედგება 33 ფონდისაგან, რომელშიც გაერთიანებულია ასობით ქვეფონდი. ჩვენთვის საინტერესო საეკლესიო დავთრები მოთავსებულია ბაზი ასაფის ფონდში, რომელშიც გაერთიანებულია 90 ქვეფონდი და მათ შორის საეკლესიო დავთრების ქვეფონდი (A.(DVNS.KLS.d/ Bab-1 Asafi Divan-1 Hümayun Sicilleri Kilise Defterleri).

ოსმალური საეკლესიო დავთრები 10 ტომისაგან შედგება, საიდანაც მე-8, მე-9 და მე-10 ტომები შეეხება იერუსალიმის ეკლესია-მონასტრების მართვა-გამგეობას და სხვადასხვა კონფესიებს შორის მართვა ურთიერთობის მოგვარებას. გარდა ზემოაღნიშნული დავთრებისა იერუსალიმის შესახებ საეკლესიო დავთარი ინახება თოფქაფის მუზეუმის არქივში, რომლის შიფრია TS.MA.d. 7016 და მასშიც მსგავსი ტიპის დოკუმენტებია გაერთიანებული.

### **მეთოდები**

წინამდებარე ნაშრომში მოცემული საკითხის კვლევის დროს გამოყენებული იქნა ისტორიული შემეცნების და შედარებითი ანალიზის მეთოდები; კრიტიკულად არის გაანალიზებული საკვლევ თემასთან დაკავშირებული საისტორიო წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა, რომელთა გათვალისწინება და

შედარება მნიშვნელოვანია მოვლენათა ზუსტი და ობიექტური შეფასებისათვის.

### **შედეგები**

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ოსმალური საეკლესიო დავთრების მიხედვით, ქართულმა ეკლესიამ იერუსალიმში დამოუკიდებლობა დაკარგა. იგი მთლიანად დაექვემდებარა იერუსალიმის ბერძნულ-მართლმადიდებლურ საპატრიარქოს. ქართველების ქონებაზე დავაში უკვე ქართველები აღარ მონაწილეობენ, თუმცა იაკობის ეკლესიას და ჯვრის მონასტრებს, შერჩათ სახელი „ქართული ეკლესია-მონასტრები“.

### **დისკუსია**

#### **დავთრების მოკლე მიმოხილვა**

თოფქაფის მუზეუმის არქივის საეკლესიო დავთრის ზომები 17,5X41,5 სანტიმეტრი. ყდის შიდა გვერდზე აბდულჰამიდ I-ის თულრაა: „აბდულჰამიდ ხანი ძე აჰმედ ხანისა მუდამ გამარჯვებული [წელი 1]187“ (TS.MA.d. 7016). დავთარი 44 გვერდისგან შედგება, საიდანაც 1-22 დანომრილია. ტექსტი გადმოვემულია 24 გვერდზე. 1a, 1b, 3b, 4a,b, 5a, 9a, 16ab-22b გვერდები ცარიელია. ყველა ჩანაწერიანი გვერდი გარშემორტყმულია ბრჭყვიალა ჩარჩოთი. ჰიჯრის 1152 (10 აპრილი 1749 – 29 მარტი 1750) წლის ბრძანების საფუძველზე შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ბერძნებმა ოსმალთა სამეუფეო კარს წარუდგინეს 12 დოკუმენტი, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩო იყო ჰიჯრის 15-დან 1099 წლამდე ანუ 636-1688 წწ. ამ დოკუმენტების საფუძველზეც 1740 წლის 13-18 თებერვალს შეიქმნა ორი სარეესტრო წიგნი, საეკლესიო დავთარი მე-8 და მე-10. ბერძნული მინაწერების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოდ, რომ მე-8 საეკლესიო დავთარი განკუთვნილი იყო ბერძნული საპატრიარქოსთვის და მაჰმუდ II-ის პერიოდამდე მათთან ინახებოდა. მოგ-

ვიანებით შეიქმნა თოფჯაფის არქივში დაცული ასლიც. უფრო მოგვიანებით ოსმალეთის საიმპერატორო კარის კანცელარიისათვის შეიქმნა მე-9 საეკლესიო დავთარი, რომელიც პერიოდულად ივსებოდა და მინაწერების სახით ჩასწორდებოდა. აღნიშნულის შევსება და ჩასწორება ხდებოდა არა მარტო ზემოთნახსენები საეკლესიო დავთრებიდან, არამედ მუჰიმეს რეესტრიდან და სხვა ბრძანებებიდან, რომელიც გაგრძელდა 1913 წლამდე.

მე-9 საეკლესიო დავთრი ზომებია 14,3X38,7X1,9 სანტიმეტრი. გარე ყდის ეტიკეტზე აწერია ოსმალურად Kumâme Defteri (აღდგომის ეკლესიის დავთარი), დაწყების წელი ჰიჯრის 862. აწერია აგრეთვე 9-იანი, რაც მეცხრე საეკლესიო დავთარს გულისხმობს. გარე ყდა ოქროსფერი ორნამენტებითაა მორთული (BOA, A{DVNSKLS.d d-9 g-1) კრებული 204 გვერდისგან შედგება. დანომრილია 1-დან 200-მდე. ამ დავთრის 1 და 2 გვერდები თავდაპირველად ცარიელი იყო და მერე შეივსო. ამავე გვერდებზეა ორი მინაწერი, რომელიც დათარიღებულია ჰიჯრის 1022 (1613) და 1257 (1842) წლით. ორივე მინაწერი ერთი და იგივე პირის დაწერილია და პირველი შესრულებულია 1851 წელს (BOA, A{DVNSKLS.d d-9 g-3) აღსანიშნავია, რომ კრებულის 1-95 გვერდების ფურცლები უფრო მსხვილია, ვიდრე 96 და 97. თავის მხრივ ესენი 98-198-ზე უფრო მსხვილია. ეს კი იმის დამადასტურებელია, რომ კრებული სხვადასხვა პერიოდში შეივსო, გადაკეთდა და ფურცლები დაემატა. კრებულის მე-3 გვერდზე მოცემულია თარიღი 1152 წლის რები ულ-ეველი (1739 წლის 8 ივნისიდან 7 ივლისამდე). აღნიშნული თარიღი სხვა მელნითაა ჩაწერილი და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს თარიღი მოგვიანებითაა მიწერილი (BOA, A{DVNSKLS.d d-9 g- 4.). კრებულის ეს გვერდი კოპირებულია მე-8 დავთრიდან, სადაც აწერია 1152 წლის 15 ზილკაადე /13.02.1740/ (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-

3). კრებული 112 ჩანაწერისგან შედგება. ქრონოლოგიური ჩარჩო ჰიჯრის 15-1331 (636-1913) წლებია. იგი უმთავრესად დივანის ხელითაა ნაწერი, თუმცა გვხვდება რიკაც და ნასუხიც. კრებული სხვადასხვა გადამწერის მიერაა შედგენილი. გამოყენებულია მუჭიმეების რეესტრიც და იქიდან არის გადმოწერილი ბრძანებები.

მეათე საეკლესიო დავთრის კრებულის ზომებია 19,3X43,6 X1,6 სანტიმეტრი. გარეკანი ბორდოსფერი ტყავის გარეკანზე ოსმალურად აწერია "Kamâme Defteri, min-evâhiri Rebiilevvel sene-i hicret 15, ilâ-evâili Cumâdelâhir sene 1099" (აღდგომის ეკლესიი დავთარი, 1099 წლის რები ულ-ეველის ბოლოდან ჯემაზი ულ-ახირის დასაყისამდე - 1688 წლის 25 იანვრიდან 13 აპრილის შუალედი). გარეკანზე ასევე თანამედროვე თურქულით აწერია Kilise Defteri (საეკლესიო დავთარი) No.10. აღნიშნული წიგნი შედგება 94 გვერდისგან, საიდანაც ნაწერი მხოლოდ 20 გვერდზეა. კრებულის 1, 3, 4, 15-28, 38-94 გვერდები ცარიელია. მე-5 გვერდზე, სადაც ხალიფა ომერის ბრძანებაა გადმოცემული, ნაწერი ოქროსფერ (ბრჭყვიალა) ჩარჩოშია ჩასმული (BOA, A{DVNSKLS.d d-10 g-5). სხვა გვერდებზე მსგავსი რამ არ გვხვდება. დედნების რეესტრში გადატანის თანმიმდევრობა დაცულია, თუმცა ერთ ადგილას ჰიჯრის 1068 (1657) წლის ბრძანების (BOA, A{DVNSKLS.d d-10 g-9) შემდეგ 14 გვერდი ცარიელია და მომდევნო დოკუმენტი 1047 (1637) წლის ბრძანებაა. ფურცლის ქვემოთ მითითებულია შედგენის თარიღი 1152 წლის 15 ზილკაადე (1740 წლის 13 თებერვალი) (BOA, A{DVNSKLS.d d-10 g-4). აღნიშნული გვერდი თავისი ფორმითა და სტრუქტურით განსხვავდება მომდევნო გვერდებისგან, რის შედეგადაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს გვერდი კრებულში მოგვიანებითაა ჩაკრული და წარმოადგენს არა ასლს, არამედ დედანს (Ünal, 2019: 35). კრებულში მელნის ფერი და სიტყვებზე რიკას (ოსმალური დამ-

წერლობა) გავლენა, მიუთითებს იმაზე, რომ კრებული ერთჯერადად არაა გადაწერილი და დედნებთან შედარების გზით მოხდა მისი ჩასწორება. მეათე საეკლესიო დავთარში გაერთიანებულია 13 დოკუმენტი (ჩანაწერი, ბრძანება). თითქმის ყველა მათგანი დივანის ხელითაა დაწერილი, მხოლოდ მცირე ნაწილია ნასხის (ნასუხის) ხელით. პერიოდი მოიცავს ჰიჯრის 15-1099 (636-1688) წლებს. შეიძლება ითქვას რომ მე-2 გვერდის გარდა ყველა დოკუმენტის ჩაწერა მოხდა ერთდროულად. კრებული შედგენილია 1152 წლის 15-20 ზილკაადეს (1740 წლის 13-18 თებერვალი).

### მერვე საეკლესიო დავთარი

კრებულის ზომებია 17,5X42,00X1,00 სანტიმეტრია. თავფურცელი ბორდოსფერი ტყავია, რომელიც ადგილ-ადგილ გაცვეთილია. ფურცლები და ტექსტი კარგადაა შენახული. ზოგიერთი ფურცელი ამოვარდნილია. გარე ყდა არ აქვს. თავფურცელზე ოსმალურად "قامامة دفترى" და ორი თარიღი აქვს მიწერილი - 860 წლის შევალი (2-30 სექტემბერი 1456) და 1071 წლის რეზიულეველი (4/XI-3XII 1660). ლათინური თურქულით აწერია "Kilise Defteri (საეკლესიო დავთარი) No.8". პირველი გვერდი უნომროა. ნუმერაცია იწყება შემდეგი გვერდიდან - 1-დან 41-ის ჩათვლით. სულ 42 გვერდია, აქედან 3, 4, 15-21, 36-39 გვერდები ცარიელია.

1,2, და 5 გვერდებში ტექსტი ოქროსფერ (ბრჭყვიალა) ჩარჩოებშია ჩასმული (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-3; g-4). სხვა გვერდებს მსგავსი ჩარჩოები არ აქვს. თარიღი მიწერილია პირველ გვერდზე, ჩარჩოს გარეთ, გვერდის დაბლა მარცხენა კუთხეში 1152 წლის 15 ზილკაადე (1740 წლის 13 თებერვალი) (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-3). მეორე გვერდზე კრებულის საინფორმაციო ჩანაწერია, სადაც დაახლოებით სამი-ოთხი სტრიქონია ადგილი ცარიელი. ეს განკუთვნილი იყო საჰკის ჩასაწერად იყო

ადგილი გამოტოვებული, რათა დადგენილიყო კრებულის ავთენტურობა. „საჰჰ“-ის ჩაწეის შემდეგ კრებული მიუხედავად ასლისა ჩაითვალა ორიგინალად. „საჰჰ“ სიტყვა ამოწმებს რომ დოკუმენტი ზუსტია და ორიგინალის დატვირთვა აქვს.

კრებულის მე-40 გვერდზე ჩასმულია (ჩაწებებულია) ტექსტი, სადაც საუბარია, რომ იერუსალიმის ყადის განუახლდა უფლებამოსილება და ეს ცნობა დათარიღებულია 1223 (1808) წლით. ამავე ფურცელზეა ამ ბრძანების დამამტკიცებელი სხვადასხვა უწყების ბეჭდები (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-17). კრებულის ბოლო 41-ე გვერდზე 5 სტრიქონია, რომელიც განკუთვნილია ბერძენი მართლმადიდებელი პატრიარქისადმი (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g- 18). კრებულში მეჰმედ მეორის ბრძანებულებაში თავდაპირველად ჩაწერილი იყო წელი 862 (19/XI.1457-07/XI.1458). მელნის ფერის მიხედვით დადგინდა, რომ ეს წელი ტექსტთან ერთად ჩაიწერა. თუმცა მოგვიანებით 2 შეიცვალა წერტილით და მივიღეთ 860 წელი (Ünal, 2019: 35). როგორც 10 საეკლესიო დავთარში, აქაც 1068 წლის ბრძანებას (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g- 8.) მოსდევს 1047 წლის ბრძანება (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g- 9), რომელთა შორის შვიდი გვერდი ცარიელია.

კრებულში მოთავსებულია 18 ჩანაწერი, რომელიც მთლიანად დივანის ხელითაა დაწერილი, მხოლოდ მცირე ნაწილია ნასხის (ნასუხი) ხელით. ქრონოლოგიური ჩარჩო ჰიჯრის 15-1223 (636-1808) წლებია. მელნის ფერისა და სისქის, კალიგრაფიისა და წერის მანერის მიხედვით, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ კრებული სხვადასხვა კალიგრაფის მიერ არის დაწერილი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰიჯრის 1152 წლის ბრძანების საფუძველზე შესაძლებელია ბერძნებმა ოსმალთა სამეუფეო კარს წარუდგინეს 12 დოკუმენტი, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩო იყო ჰიჯრის 15-1099 (636-1688) წლები. ამ დოკუმენტების საფუძველზეც 1740 წლის 13-18 თებერვალს შეიქმნა ორი

სარექსტრო წიგნი, საეკლესიო დავთარი 8 და 10. ბერძნული მინაწერების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოდ რომ მე-8 საეკლესიო დავთარი განკუთვნილი იყო ბერძნული საპატრიარქოსთვის და მაჰმუდ II-ს პერიოდამდე მათთან ინახებოდა.

ქართველების შესახებ მე-8 საეკლესიო დავთარში ცნობებია გადმოცემული მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 დოკუმენტებში. მე-2 დოკუმენტში საუბარია ხალიფა უმარის შუამავლობის სიგელზე იერუსალიმში მცხოვრებ ქრისტიანებს და მათ შორის ქართველების მიმართ. აღნიშნული დოკუმენტის თარგმანი თავისი შენიშვნებითა და გამოკვლევებით 2018 წელს გამოაქვეყნა პროფესორმა გოჩა ჯაფარიძემ (გ.ჯაფარიძე, 2018: 151-153), და ჩვენ ამაზე აღარ შევჩერდებით, მითუმეტეს იმისა, რომ დოკუმენტი არ ეხება იერუსალიმში ოსმალურ პერიოდს.

დავთარში არსებული მე-3 დოკუმენტი დათარიღებულია ჰიჯრის 862 წლით (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-4), რომელიც ოსმალეთში მეჰმედ II-ის სულთანობის პერიოდს ემთხვევა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დოკუმენტი გადმოცემულია მე-9 (BOA, A{DVNSKLS.d d-9 g-6) და მე-10 (BOA, A{DVNSKLS.d d-10 g-6) საეკლესიო დავთრებში და თოფქაფის არქივში დაცულ საეკლესიო დავთარში (TS.MA.d. 7016, GB5A1833-2 kopya). დოკუმენტის მიხედვით კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ ოსმალეთის სულთანთან სხვადასხვა მეფე-მთავრების მსგავსად, ოსმალეთის სულთანთან იერუსალიმის პატრიარქი ათანასეც გამოცხადდა, ქედი მოუხარა და განუცხადა, რომ ხალიფა ომერიდან მოყოლებული იერუსალიმში არსებული ეკლესიები და მონასტრები, იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს ეკუთვნოდა. სხვადასხვა სამლოცველოებთან ერთად დოკუმენტში დასახელებულია იაკობის ქართული მონასტერიც. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში იერუსალიმი მამლუქების ხელში იყო და ერთგვარად საეჭვო ხდება, რომ იერუსალიმის პატრიარქს, იერ-

უსალიმში არსებული ეკლესია-მონასტრების მართვა გამგეობის უფლება ოსმალებისგან მიეღოთ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში იერუსალიმის პატრიარქი კონსტანტინოპოლში დევნილობაში იმყოფებოდა და მეჰმედ II-სთან მისი მოლაპარაკება კონსტანტინოპოლის პატრიარქთან შეთანხმებული ერთგვარი პოლიტიკური ნაბიჯი იყო (მ.მახარაძე).

1512 წელს ოსმალეთის იმპერიის ტახტი სელიმ I-მა დაიკავა, რომლის დროსაც მოხდა ეგვიპტის მამლუქთა სასულთნოს გაუქმება. იერუსალიმი ოსმალთა ხელში გადავიდა, ამიტომ იერუსალიმის მამთლმადიდებელთა პატრიარქმა ეკლესია-მონასტრების დასამტკიცებლად, უკვე იერუსალიმის მბრძანებელს, ოსმალეთის სულთანს მიმართა. სწორედ ეს მიმართვაა გადმოცემული მერვე საეკლესიო დავთრის მე-4 დოკუმენტში (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-5). ანალოგიური დოკუმენტებია გადმოცემული მე-9 (BOA, A{DVNSKLS.d d-9 g-7), მე-10 (BOA, A{DVNSKLS.d d-10 g-6) და თოფქაფის საეკლესიო დავთრებში (TS. MA.d. 7016, GB5A1833-2 kopya). აღსანიშნავია, რომ მე-4 დოკუმენტში ეკლესია-მონასტრების ჩამონათვალი უფრო სრულყოფილია, ვიდრე მე-3 დოკუმენტში. ბერძენ პატრიარქს სელიმ I სხვა ეკლესია მონასტრებთან ერთად უმტკიცებს იაკობის და ჯვრის ქართულ მონასტრებს (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-5). მამლუქთა მმართველობის უკანასკნელ წლებში მართლმადიდებლური მრევლის სათავეში ადგილობრივი, არაბერძენი წარმომადგენლები იკავებდნენ. მიუხედავად ამისა ცალკე მრევლს წარმომადგენდა ქართული სათვისტომო, რომელსაც თავისი უფლებების დაცვა უხდებოდა არა მარტო მუსლიმებთან, არამედ სომხებთან, ფრანკებთან და თვით ბერძნულ მართლმადიდებულ მრევლთან დაპირისპირებაში. ამის ნათელი მაგალითია ბენა ჩოლოყაშვილის მოღვაწეობა წმინდა მიწაზე (ჯაფარიძე, 2011: 83-183). აღსანიშნავია, რომ ოსმალების მიერ წმინდა მიწის დაპყრობით

ყველაზე მეტად ბერძნულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ისარგებლა და ოსმალეთის სულთანს ყველა ეკლესიის, მათ შორის ქართულის დამტკიცებაც მოსთხოვა. ც. აბულაძის მიხედვით ქართული თემი ერთხანს კიდევ ინარჩუნებდა პრივილეგიებს წმინდა მიწაზე. სულეიმან კანუნის „წმინდა საფლავის მოლოცვის“ კანონში აღდგომის ტაძარში მოსალოცად მოსული პილიგრიმებიდან გადასახადს არ იხდიან მხოლოდ ქართველები და ეთიოპიელები (აბულაძე, 2011: 374). თუმცა დოკუმენტში პირდაპირაა ნათქვამი, რომ ყველა მრევლის მეთაური მართლმადიდებელთა პატრიარქია და მათი ქონებაც მას ეკუთვნის: „... და სხვა ეკლესიები და მონასტრები და პატრიარქს დაქვემდებარებული ქართული და ეთიოპიური და სერბული და სხვა სამწყსოები და მათი მიტროპოლიტები და მღვდლები და გარდაცვლილი მიტროპოლიტების და ეპისკოპოსების და მღვდლების დატოვებული ქონება (პატრიარქს ეკუთვნის)“ (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-5).

მეხუთე დოკუმენტი 1526 წელს სულტან სულეიმან I-ის მიერ არის გაცემული, სადაც ნათქვამია, რომ მან ბერძენთა პატრიარქ იერმანუსს დაუმტკიცა მისი მამის სელიმ I-ის დროს დამტკიცებული ქონება (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-5). აღნიშნული დოკუმენტი მე-9 (BOA, A{DVNSKLS.d d-9 g-8), მე-10 (BOA, A{DVNSKLS.d d-10 g-7) და თოფქაფის საეკლესიო დავთრებშიც (TS. MA.d. 7016, GB5A1834-2 kopya) მოიპოვება. დოკუმენტის მიხედვით ბერძენ საპატრიარქოსაა დამორჩილებული იაკობის ქართველთა მონასტერი და ქართველებისა და მეგრელების ჯვრის მონასტერი. საინტერესოა, რომ „მეგრელები“ ცალკე საეკლესიო დავთრის მხოლოდ ამ მონაკვეთში გვხვდება. ასევე დოკუმენტში მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ ქართული მრევლი ეთიოპიურ და კოპტ მრევლთან ერთად ბერძნულ საპატრიარქოს ემორჩილება.

მეექვსე დოკუმენტში საუბარია მართლმადიდებლურ პატრიარქსა და სომეხთა დაპირისპირებაზე (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-5). აღნიშნული ტოკუმენტი, როგორც წინა დოკუმენტები მოთავსებულია მე-9 (BOA, A{DVNSKLS.d d-9 g-9), მე-10 (BOA, A{DVNSKLS.d d-10 g-7, g-8) და თოფქაფის საეკლესიო დავთარში (TS. MA.d. 7016, GB5A1834-2 kopya). დოკუმენტში საუბარია, რომ იერუსალიმის პატრიარქმა წერილი გაუგზავნა ოსმალეთის სულთან მურად IV-ს, სადაც ნათქვამია, რომ: „დაპყრობიდან მოყოლებული ხსენებულ აღდგომის ეკლესიაში ღვთისმსახურებისათვის თუ მარადიული ცეცხლის გარდმოსვლის თავყვანისსაცემად ყოველი მხრიდან მოსული მომლოცველები (იქნება ეს) სომეხი თუ ქართველი თუ ფრანკი თუ ეთიოპიელი ურწმუნოები და სხვა ქრისტიანი ერის წარმომადგენელი მართლმადიდებელ პატრიარქს სთხოვენ (მიეცეთ უფლება) ზემოაღნიშნულ ეკლესიაში ქვემო და ზემო ადგილებში და ჭიშკრის წინ სახარების კითხვის და ლიტანიის“, თუმცა ირანის ტერიტორიიდან მოვიდა ვინმე სომეხი გორგორი, რომელმაც „ფულის ძალით“ შესაბამისი ჰუჯეთი (ცნობა) აიღო და „მართლმადიდებლური მრევლსა და მართლმადიდებლურ პატრიარქზე წინ მოექცნენ. ზემოთხსენებ აღდგომის ეკლესიაში ღვთიური ცეცხლისა და სხვადასხვა ადგილებში ლიტურგიას ფულის ძალით, წინამძღოლის გარეშე, ჩაგვრასა და სირცხვილში (ცოდვაში) ასრულებენო“. დოკუმენტის მიხედვით შედგა სასამართლო, სადაც თავთავიანთი ჰუჯეთები წარმოადგინეს. სასამართლომ გადაწყვეტილება ბერძენთა სასარგებლოდ გამოიტანა, რის შემდეგაც მურად IV-მ ბრძანება გასცა, რომ: „აღდგომის ეკლესიაში ნათქვამიდან გამომდინარე ღვთისმსახურებისა და ლოცვის პრივილეგიები, იქნება ეს კარიბჭის წინ სახარების კითხვა, იქნება ეს ზემო და ქვემო ადგილებში ღვთისმსახურება და ლოცვა, იქნება ეს ყოველ ღამე საკმევლის დაფქვევა, თუ ყოველ პარასკევს საღა-

მოობით ზემოხსენებული ცეცხლის სანთელზე გადმოტანა, სომხებზე და სხვა ერებსა და სამწყსოებზე, ფრანკებზე და ქართველებზე და ეთიოპიელებზე და სხვა ერებზე წინ სიტყვა ეთქმის მართლმადიდებელ მრევლსა და პატრიარქს და ღვთისმსახურებასა და ლოცვაში და მასთან დაკავშირებულ მოქმედებებში ზემოხსენებული მრევლის წინ არავინ განიხილება. საქართველოსი ყოველწინადად ცდილობდნენ ოსმალებთან საერთო ენა გამოენახათ და უფლებები მოეპოვებინათ საქართველოს კუთვნილ ეკლესიებზე, რისი ნათელი დადასტურებაცაა კახთა მეფისა და ლალა მუსტაფა ფაას მოლაპარაკებები (მახარაძე, შაშივაძე, 2022: 133-146)

მეშვიდე და მერვე დოკუმენტი სულთან მეჰმედ IV-ის პერიოდს ემთხვევა. დოკუმენტები დათარიღებულია 1657 წლით. აქაც საუბარია ბერძენთა პატრიარქსა და სომხების დაპირისპირებაზე (BOA, A{DVNSKLS.d d-8 g-7, g-8). აღნიშნული დოკუმენტებიც მოიპოვება მე-9 (BOA, A{DVNSKLS.d d-9 g-10, g-11), მე-10 (BOA, A{DVNSKLS.d d-10 g-8, g-9) და თოფქაფის საეკლესიო დავთარში (TS.MA.d. 7016, GB5A1834-2 kopya, GB5A1836-2 kopya.). მეშვიდე დოკუმენტში პატრიარქი მოითხოვს სულთნისაგან ეკლესია-მონასტრების დამტკიცებას, რომელთა შორის მოხსენიებულია იაკობის ქართველთა მონასტერი. აქაც ნაჩვენებია, რომ „ზემოხსენებული პატრიარქისადმი დაქვემდებარებული ქართველთა და ეთიოპიელთა და სირიელთა და კოპტთა სამლოცველოები და ვაყუფები (საეკლესიო ქონება) წმინდა ომერის - ალაჰი შეეწიოს - ზემოხსენებული ღვთიური ქალაქის დაპყრობის დროიდან მართლმადიდებელი ურჯულოების და მათი პატრიარქის ხელთ იყო და ამის გასამყარებლად კუფიურ (არაბულ) ბრძანებასთან ერთად, აჰიდ-ნამეები (უფლებების წიგნი) სულთნის წინაპრებმა, ღვთის ნებას დამორჩილებულებმა, ისულთან სელიმ ხანმა და სულთან სულიმან ხანმა გამოსცეს.

ზემოაღნიშნული ადდგომის ეკლესია და მის დაქვემდებარებაში მყოფი სამლოცველოები და მართლმადიდებლურ მრევლს დამორჩილებული ქართველი, ეთიოპიელი, სირიელი და კოპტი მრევლი მართლმადიდებელ პატრიარქს ემორჩილება. არც სომეხ და ფრანკ და სხვა ერის წარმომადგენელს მათ საქმიანობაში ჩარევისა და ხელის შეშლის უფლება არა აქვთ“-ო. თუმცა მერვე დოკუმენტიდან ჩანს, რომ სომხები ამით არ დაკმაყოფლდნენ. ღაზას სანჯაყის მმართველის ჰუსეინის დახმარებით, ბერძენ პატრიარქს წაართვეს „წმინდა იაკობის ქართული მონასტერი თავისი ვენახებითა და სათავსოებით, ბეთლემში რკინის კარები და მისი გასაღებები, და გარდა ამისა ეთიოპიელთა ვაყუფის ოთახები და ვენახები. ეს ადგილები სომხებმა მიტაცეს, უსამართლობა და ძალადობა გამოხატეს.“ ამის გამო ბერძენთა პატრიარქმა ითხოვა: „ჩემი ბედნიერებით ხელმოწერილი უზენაესი ბრძანებისა და შარიათის წესის საფუძველზე, ეს მონასტრები, ბაღები და ადგილები ძველებური წესით კვლავ ბერძენთა თემს გადაეცეს; სომხების მიერ ბადის შუაგულში აღმართული კედელი დაინგრეს; გასაღებები ჩამოერთვათ; და მომავალში სომხებსაც და სხვა ერებსაც არ მიეცეთ ჩარევის, ხელყოფისა და დავის უფლება.“ ამგვარად გამოიცა ჩემი უზენაესი ბრძანება: როდესაც ეს ბრძანება თქვენამდე მიაღწევს, მასში ჩამოწერილი დადგენილებების მიხედვით იმოქმედეთ. ზემოხსენებული მონასტრები და ბაღები ძველებური წესით კვლავ მართლმადიდებლურ მრევლს დაუბრუნდეს. სომხების მიერ აღმართული კედელი დაინგრეს, გასაღებები ჩამოერთვათ. მომავალში ჩემს ბედნიერების ხელმოწერილ ბრძანებებსა და შარიათის მოწმობებს წინააღმდეგობაში არავინ უნდა შევიდეს – არც სომეხთა, არც სხვა ერებიდან. ვინც ამ ბრძანებას შეეწინააღმდეგება, მათი საქციელი მომახსენეთ ჩემს სამეფო კარზე, რათა შემდგომში მათ მიმართ შესაბამისი ბრძანება გამოიცეს და იმ ბრძანების

თანახმად განხორციელდეს. ასე იცოდეთ და ჩემი ბედნიერებით მოწერილ ნიშანს დაეყრდენით.

### **დასკვნა**

ოსმალური საეკლესიო დავთრების დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ქართულმა ეკლესიამ იერუსალიმში დამოუკიდებლობა დაკარგა. იგი მთლიანად დაექვემდებარა იერუსალიმის ბერძნულ-მართლმადიდებლურ საპატრიარქოს. ქართველების ქონებაზე დავაში უკვე ქართველები აღარ მონაწილეობენ, თუმცა იაკობის ეკლესიას და ჯვრის მონასტრებს, შერჩათ სახელი „ქართული ეკლესია-მონასტრები“.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

**T.C. Devlet Arşivleri Başkanlığı. (n.d.).** Osmanlı Arşivi, Divan-ı Hümayun Kilise Defterleri, Kilise Defteri 8 (A{DVNSKLS.d, d-8, g-3, A{DVNSKLS.d, d-8, g-4, A{DVNSKLS.d, d-8, g-5, A{DVNSKLS.d, d-8, g-7, A{DVNSKLS.d, d-8, g-8 A{DVNSKLS.d, d-8, A{DVNSKLS.d, d-8, g-9, A{DVNSKLS.d, d-8, g-17}). İstanbul, Türkiye.

**T.C. Cumhurbaşkanlığı Devlet Arşivleri Başkanlığı. (n.d.).** Osmanlı Arşivi, Divan-ı Hümayun Kilise Defterleri, Kilise Defteri 9 (A{DVNSKLS.d, d-9, g-1, A{DVNSKLS.d, d-9, g-3, A{DVNSKLS.d, d-9, g-4, A{DVNSKLS.d, d-9, g-6, A{DVNSKLS.d, d-9, g-7, A{DVNSKLS.d, d-9, g-8, A{DVNSKLS.d, d-9, g-9, A{DVNSKLS.d, d-9, g-10, A{DVNSKLS.d, d-9, g-11}). İstanbul, Türkiye.

**T.C. Cumhurbaşkanlığı Devlet Arşivleri Başkanlığı. (n.d.).** Osmanlı Arşivi, Divan-ı Hümayun Kilise Defterleri, Kilise Defteri 10 (A{DVNSKLS.d, d-10, g-4, A{DVNSKLS.d, d-10, g-5, A{DVNSKLS.d, d-10, g-6, A{DVNSKLS.d, d-10, g-7, A{DVNSKLS.d, d-10, g-8, A{DVNSKLS.d, d-10, g-9}). İstanbul, Türkiye.

**Topkapı Sarayı Müzesi Arşivi.** (n.d.). Defter fonu, TS.MA.d. 7016 (GB5A1833-2 kopya; GB5A1834-2 kopya; GB5A1836-2 kopya). İstanbul, Türkiye.

**აბულაძე, ც.** (2011). წმინდა მიწის მიმოხილვის ოსმალური კანონი. მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, 19, თბილისი.

**ჯაფარიძე, გ.** (2011). ბენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტესა და წმინდა მიწაზე 1512–1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის). საისტორიო კრებული, 1, თბილისი.

**ჯაფარიძე, გ.** (2018). ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI–XVIII საუკუნეებში (არაბული ნარატიული და დოკუმენტური წყაროების მიხედვით). თბილისი.

**მახარაძე, მ.** (მომზადების პროცესში). მოსაზრებები ჰიჯრის 862 წლით დათარიღებული საეკლესიო დავთრის დოკუმენტის გარშემო.

**მახარაძე, მ., & შაშიკაძე, ზ.** (2022). ალექსანდრე კახთა მეფე და ქართველთა პილიგრიმოზის საკითხი იერუსალიმში. აღმოსავლეთმცოდნეობა, 11, თბილისი.

**მახარაძე, მ., შაშიკაძე, ზ., & კაშია, ა.** (2022). თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ (ტ. I, წ. 1). თბილისი.

**Ünal, U. (Proje Yön.).** (2019). Kudüs'te Hristiyan mezhep ve milletlerin idaresi. İstanbul.